შპს „პალიტრა TV"-ს

თვითრეგულირების ორგანოს - სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება

სააპელაციო ორგანომ განიხილა მიმართვა წარმოდგენილი „მედიის განვითარების ფონდის", „კავშირი საფარის", „იდენტობის", „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის", „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის" მიერ და დაადგინა:

წარმოდგენილი საჩივრის მიხედვით 2016 წლის 28 თებერვალს, 20 საათზე მაუწყებლის ეთერში გავიდა გადაცემა, „ფალავანდიშვილთან"- საგანი „მე და საზოგადოება", გადაცემა იყო დისკრეციული ხასიათის და, რომ მისი ეთერში გაშვებით ტელეკომპანიამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 (1.21), მე-17, 31-ე (1,2) და 33-ე (3,4) მუხლები.

სააპელაციო ორგანო ასევე გაეცნო შპს „პალიტრას" თვითრეგულირების ორგანოს საჩივრის განმხილველი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვით, კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „შპს „პალიტრა TV"-ის საჩივრების განმხილველი კომისია საჩივარში მითითებულ პუნქტებს დარღვეულად არ მიიჩნევს."

სააპელაციო ორგანომ საჩივრის განხილვის შედეგად მიიჩნია, რომ დაირღვა, მაუწყებლობის ქცევის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიუკერძოებლობის პრინციპი.

გადაცემაში არ იყვნენ წარმოდგენილი განსხვავებული პოზიციის მქონე ადამიანები, მათ შორის სახელმწიფო უწყებისა თუ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა მიმართ არაერთგზის გამოითქვა უარყოფითი პოზიცია-მაგ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა დამცველები...

ასევე დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-17 მუხლი (1,2) პუნქტები, ვინაიდან გადაცემაში არ იყო წარმოდგენილი მონაწილეთა ფართო სპექტრი, არ იყვნენ განსხვავებული პოზიციების მქონე პირები, რაც ხელყოფს გადაცემის მიუკერძოებლობის პრინციპს.

დაირღვა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლის (3) პუნქტი, სადაც საუბარია რომ „მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის, ან გამოსახულების გამოყენებით". ასევე 33-ე მუხლის (4) პუნქტი: „თუ წყარო პირდაპირ ეთერში იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აჰყვეს ასეთ დიალოგს..."

სამწუხაროდ, გადაცემაში გამოყენებული იქნა სიტყვები, რომლებიც როგორც ფორმით ასევე შინაარსით მიუღებელია მაყურებლის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის და არღვევს ეთიკის კოდექსის შესაბამის მუხლს. ამასთანავე, წამყვანს უნდა მიემართა წყაროსთვის, რათა დაცულიყო ეთიკური სტანდარტები, რაც, სამწუხაროდ, არ გაკეთდა.

აქვე გვინდა დავეთანხმოთ თვითრეგულირების ორგანოს, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, ქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს აზრის აბსოლიტურ თავისუფლებას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებელობას და პლურალიზმს.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ ეთიკური სტანდარტების დაცვით, მედიის საშუალებით შესაძლებელია დისკუსიების გამართვა ნებისმიერ მგრძნობიარე, მათ შორის ავტორის მიერ შეთავაზებულ, უმცირესობების, მათ შორის სექსუალური უმცირესობების პრობლემებზე სხვადასხვა ჯგუფების განსხვავებული პოზიციების გათვალისწინებით, რაც ქვეყნის დემოკრატიულ, პროდასავლური ნიშნით განვითარების წინაპირობაა.

სააპელაციო კომისიის წევრები:

ლაშა ტუღუში ----------

ია ანთაძე ----------

გიორგი ოთხმეზური ----------